



N გ-20-04/2959
17/09/2020

2959-გ-20-04-2-202009171156



მაუწყებლობის ავტორიზაციის მქონე პირებს

შეგახსენებთ, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების საინფორმაციო უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ პროცესებს არეგულირებს საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ (შემდგომში „საარჩევნო კოდექსი“) 50-ე და 185-ე მუხლები.

საარჩევნო კოდექსის 185-ე მუხლის მე-20 ნაწილის თანახმად, წინასაარჩევნო პოლიტიკური რეკლამის მიმდინარეობისას საარჩევნო სუბიექტის დასახელების ერთიანი კონტურებისა და არჩევნებში მონაწილეობის რიგითი ნომრის აღმნიშვნელი ციფრების კონტურების ჯამი უნდა იკავებდეს კადრის ფართობის არანაკლებ 5%-ს, ხოლო რეკლამის დასასრულს, არანაკლებ ერთი წამის განმავლობაში, ნაჩვენები უნდა იყოს საარჩევნო სუბიექტის სახელწოდება და რიგითი ნომერი იმგვარად, რომ საარჩევნო სუბიექტის დასახელების ერთიანი კონტურებისა და არჩევნებში მონაწილეობის რიგითი ნომრის აღმნიშვნელი ციფრების კონტურების ჯამი უნდა იკავებდეს კადრის ფართობის არანაკლებ 25%-ს. ამასთანავე, წინასაარჩევნო რეკლამას უნდა ერთვოდეს სურდოთარგმანი და აღმნიშვნელი მაიდენტიფიცირებელი წარწერა - „ფასიანი საარჩევნო რეკლამა“ ან „უფასო საარჩევნო რეკლამა“. შეგახსენებთ, რომ აღნიშნული ფორმალური მოთხოვნების დაცვა საარჩევნო სუბიექტის ვალდებულებაა. თუ სუბიექტის მიერ მაუწყებლისათვის წარდგენილი წინასაარჩევნო რეკლამა არ შეესაბამება კანონით დადგენილ მოთხოვნებს, მაუწყებელი უარს ამბობს რეკლამის განთავსებაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში დგება მაუწყებლისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ საარჩევნო კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილი ადგენს იმ კრიტერიუმებს, რომელთა მითითებაც აუცილებელია საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების გამოქვეყნებისას. საზოგადოებრივი აზრის კვლევა შესაძლებელია ეხებოდეს როგორც უშუალოდ პარტიათა რეიტინგს, აგრეთვე პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებულ სხვა საკითხებსაც. შესაბამისად, არჩევნებთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების გაშუქებისას, გთხოვთ, მიუთითოთ შემდეგი ინფორმაცია: გამოკითხვის დამკვეთი, გამოკითხვის განმახორციელებელი ორგანიზაცია, ფასიანია თუ უფასო ჩატარებული გამოკითხვა, გამოკითხვის თარიღი, გამოკითხვის მეთოდი, დასმული კითხვის ზუსტი ფორმულირება, შესაძლო ცდომილების ფარგლები.

იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოებრივი აზრის კვლევის მიზანია კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის სტატუსის განსაზღვრა, საარჩევნო კოდექსის 185-ე მუხლის მე-12 ნაწილის თანახმად, მისი გაშუქებისას ეთერში უნდა განთავსდეს ინფორმაცია კვლევის განმახორციელებელი ორგანიზაციის, კვლევის დამკვეთის, გამოყენებული კითხვების ზუსტი ფორმულირებისა და თანმიმდევრობის, კვლევის ჩატარების დროის, გამოკითხულთა რაოდენობისა და შერჩევის მეთოდის, გამოკითხვის არეალისა და გამოკითხულ პირთა კატეგორიის, შერჩევის ზომის, კვლევის ცდომილების ფარგლების და იმ პირთა რაოდენობის შესახებ, ვინც კვლევაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. საზოგადოებრივი აზრის კვლევის გაშუქებისას, აგრეთვე, უნდა აღინიშნოს ყველა ის ფაქტორი, რომელსაც შესაძლოა გავლენა მოეხდინა კვლევის შედეგებზე.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ საარჩევნო კოდექსით დადგენილი მოთხოვნები, ხოლო ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებით კითხვების არსებობის შემთხვევაში დაგვიკავშირდით ნომერზე - 0322393086.

კახი ბექაური



თავმჯდომარე
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

